საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

ქუთაისის
საერთაშორისო
უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოსა
და
სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს
შორის

ქ. ქუთაისი 04/მაისი/2023 წ.

ერთი მხრივ, **საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“)** წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის - **ირაკლი ლექვინაძის** სახით და მეორე მხრივ, **სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი** (შემდგომში "უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის / რექტორის - **ალექსანდრე თევზაძის** სახით, ცალ-ცალკე „მხარედ“, ხოლო ერთობლივად „მხარეებად“ წოდებულნი, აღიარებენ რა, ორმხრივ ინტერესს ხელი შეუწყონ სტუდენტების მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გაანალიზებასა და განზოგადებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ასევე, „მხარეებს“ შორის გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას შესაბამის სფეროში დარგობრივი უნარების გაღრმავების მიზნით, აფორმებენ მემორანდუმს (შემდგომში „მემორანდუმი“) და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

1.1. წინამდებარე მემორანდუმით მხარეები, თავისი კომპეტენციისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადგენენ ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებს;

1.2. მემორანდუმის საგანია მხარეთა ურთიერთთანამშრომლობა საგანმანათლებლო სფეროში, ერთობლივი ძალისხმევითა და მხარდაჭერით სტუდენტების ხელის შეწყობა კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში;

1.3. მემორანდუმის ფარგლებში უნივერისტეტის სტუდენტების მიერ, სააგენტოსთან ურთიერთობის გზით, პრაქტიკული გამოცდილების მიღება;

1.4. უნივერისტეტის სტუდენტების მიერ სააგენტოში, შესაძლებლობის ფარგლებში, პროგრამით გათვალისწინებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პრაქტიკის/სტაჟირების გავლა;

1.5. მხარეებს შორის სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევების ფარგლებში გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება;

მუხლი 2. მემორანდუმის მიზანი

2.1. მემორანდუმის მიზანია სტუდენტების დახმარება ხარისხიანი პრაქტიკული განათლების მიღებასა და თვითრეალიზაციაში:

2.1.1. უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული განმტკიცება;

2.1.2. შესაბამისი გამოცდილების გაზიარება;

2.1.3. უნივერისტეტში შესაბამისი პროგრამის სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სასწავლო კურსის გავლა და სტუდენტთა შეფასება;

2.1.4. სააგენტოს კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში პრაქტიკისა და სტაჟირების გავლა, ერთი სემესტრის განმავლობაში, შეუძლია მაქსიმუმ 10 (ათი) სტუდენტს.

2.2. სამეცნიერო-კვლევით სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს და სააგენტოს შესაბამისი დეპარტამენტების წარმომადგენლებს შორის, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისა მიზნით.

2.3. სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

მუხლი 3. თანამშრომლობის ფარგლებში მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. სააგენტო გამოხატავს მზადყოფნას:

ა) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისი გასაუბრების შედეგად შერჩეული სტუდენტები უზრუნველყოს სტაჟირების გავლისათვის აუცილებელი სათანადო პირობებით;

ბ) უნივერისტეტის დაინტერესებისა და სააგენტოს სურვილის შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღოს უნივერისტეტთან ერთობლივ ღონისძიებებსა თუ პროექტებში, სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება);

გ) უნივერისტეტის მომართვისა და სააგენტოს თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველყოს სააგენტოსათვის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელთა მიერ, საჯარო ლექციების ჩატარება სტუდენტებისათვის აქტუალურ თემებზე;

დ) უნივერსიტეტთან ერთად დაგეგმოს სხვა აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს წინამდებარე მემორანდუმით დასახული მიზნების მიღწევას;

ე) სააგენტოში პრაქტიკის/სტაჟირების გავლის შემთხვევაში:

- გამოყოს თანამშრომელი, რომელიც იქნება სტუდენტის თანა ხელმძღვანელი (შემდგომში "თანა ხელმძღვანელი") და კონტროლს გაუწევს, ასევე, შეაფასებს სტუდენტის მიერ შესრულებულ პრაქტიკულ სამუშაოს;
- თანა ხელმძღვანელი უფლებამოსილია აქტიური ურთიერთობა შეინარჩუნოს სტუდენტის პრაქტიკის ხელმძღვანელთან და მიაწოდოს მას შესაბამისი ინფორმაცია:

3.2. უნივერსიტეტი გამოხატავს მზადყოფნას:

ა) სააგენტოში სტუდენტთა პრაქტიკისა თუ სტაჟირების გავლის მიზნებისათვის, სააგენტოს მიაწოდოს დაინტერესებულ სტუდენტთა მონაცემები და შესაძლებლობების ფარგლებში, სხვა საჭირო ინფორმაცია მოთხოვნის/აუცილებლობის შესაბამისად;

ბ) სააგენტოსთან ერთად დაგეგმოს და მონაწილეობა მიიღოს სტუდენტებისათვის ჩასატარებელ სხვადასხვა საორგანიზაციო ღონისძიებებში;

გ) უზრუნველყოს სააგენტოს წარმომადგენელთა საჯარო ლექციების ორგანიზება;

დ) მიიღოს აქტიური მონაწილეობა სააგენტოს საკონსულტაციო და სამუშაო ჯგუფებში;

ე) გაუზიაროს სააგენტოს თავისი გამოცდილება და უახლესი კვლევები;

ვ) შესთავაზოს სააგენტოს პერსონალს თანაავტორობა აკადემიური და გამოყენებითი კვლევების განხორციელებაში;

ზ) მხარი დაუჭიროს სააგენტოს მისი პუბლიკაციების და გადაწყვეტილებების პოპულარიზაციაში.

მუხლი 4. მემორანდუმის მოქმედება და შეწყვეტა

4.1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მისი ძალაში შესვლიდან 4 (ოთხი) წლის განმავლობაში, თუ ამავე მუხლის 4.2 პუნქტის გათვალისწინებით არ მოხდა მისი შეწყვეტა.

4.2. მემორანდუმი შეიძლება ვადამდე შეწყდეს ნებისმიერ დროს, მხარის მოთხოვნის შემთხვევაში. მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია, ამის თაობაზე მემორანდუმის შეწყვეტამდე არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა აცნობოს მეორე მხარეს.

4.3. ამ მუხლის 4.2 პუნქტით მემორანდუმის შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეებმა, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა განახორციელონ ყველა შესაბამისი და აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში უკვე დაწყებული ღონისძიებების დასასრულებლად.

4.4. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე. თითოეულ მხარესთან ინახება ხელმოწერილი მემორანდუმის თითო ეგზემპლარი.

მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154

თავმჯდომარე:
ირაკლი ლექვინაძე

სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მის: ქ. ქუთაისი, ცხალგაზრდობის გამზ. მე-5 შესახვევი, K კორპუსი

აღმასრულებელი დირექტორი/რექტორი:
ალექსანდრე თევზაძე